<table>
<tr><td colspan="4">ევროკავშირის სამართლებრივი აქტი<br><br>ევროპარლამენტისა და საბჭოს 1994 წლის 30 მაისის 94/22/EC დირექტივა „ნახშირწყალბადის რესურსების ძიების, მოპოვებისა და წარმოების ნებართვების მიღებისა და გამოყენების პირობების შესახებ“</td><td colspan="3">საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/ პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/ აქტები, არსებობის შემთხვევაში:<br><br>№1. საქართველოს კანონის პროექტი „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ<br>N2. საქართველოს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“<br>N3. საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის 2002 წლის 9 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებული „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ეროვნული მარეგულირებელი წესები”<br><br>სშ – სრულად შესაბამისი<br>ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი<br>შ – შეუსაბამო<br>ას – არასავალდებულო</td></tr>
<tr><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td><td>6</td><td>7</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>მუხლი ან ნაწილი</td><td>ნორმის ტექსტი</td><td>N</td><td>მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)</td><td>ნორმის ტექსტი</td><td>შესაბამისობა</td><td>შენიშვნები</td></tr>
<tr><td>პირველი მუხლი</td><td>მუხლი 1<br>წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის:</td><td>2</td><td>7.</td><td>მუხლი 7. ნავთობისა და გაზის რესურსების სახელმწიფო მართვა<br>1. ნავთობისა და გაზის სფეროში სამინისტროს ძირითადი ფუნქციები განისაზღვრება ამ კანონით, სამინისტროს</td><td>სშ</td><td></td></tr>
</table>

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1. „კომპეტენტური ორგანო“ ნიშნავს 90/531/EEC დირექტივის 1(1) მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ლიცენზიის გაცემაზე და/ან მათი გამოყენების მონიტორინგზე;<br>2. „სუბიექტი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა ნებისმიერ ჯგუფს, რომელიც მიმართავს, შესაძლოა მიმართოს ან ფლობს ლიცენზიას;<br>3. „ლიცენზია“ ნიშნავს ნებისმიერ კანონს, რეგულაციას, ადმინისტრაციულ ან სახელშეკრულებო დებულებას ან მის მიხედვით გამოცემულ ინსტრუმენტს, რომლითაც წევრი სახელმწიფოს | | 8. | დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.<br><br>2. ნავთობისა და გაზის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს შეიმუშავებს სამინისტრო. ნავთობისა და გაზის სფეროში სამინისტროს ფუნქციებს არ მიეკუთვნება მესაკუთრის და ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება.<br><br>3. ნავთობისა და გაზის სფეროს მართვას სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად ახორციელებს სააგენტო.<br><br>მუხლი 8. ნავთობისა და გაზის რესურსების სახელმწიფო რეგულირება<br>1. საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებას ახორციელებს სააგენტო.<br><br>2. სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.<br><br>3. სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით.<br><br>4. სააგენტოს უფროსის მოქმედების შეზღუდვის, თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და ეკონომიკური | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კომპეტენტური ორგანოები უფლებას აძლევენ სუბიექტს გამოიყენოს თავისი სახელით და საკუთარი რისკის ქვეშ ექსკლუზიური უფლება მოიძიოს ან გამოიკვლიოს ან აწარმოოს ნახშირწყალბადები გეოგრაფიულ არეალში. ლიცენზია შეიძლება გაიცეს თითოეულ საქმიანობაზე ცალკე ან რამდენიმე აქტივობაზე ერთდროულად;<br>4. „საჯარო სუბიექტი" ნიშნავს საჯარო საწარმოს, როგორც ეს განსაზღვრულია 90/531/EEC დირექტივის 1(2) მუხლით. | 3 | 2 | ინტერესების დეკლარირების წესები განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით.<br><br>5. სააგენტოს უფროსის უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და სააგენტოს დებულებით. სააგენტოს დებულებას, სტრუქტურასა და საქმისწარმოების წესს ამტკიცებს მინისტრი.<br><br>6. სააგენტოს უფროსი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ აქტს – ბრძანებას.<br><br>7. სააგენტოს უფროსის მოადგილეს (მოადგილეებს) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს უფროსი მინისტრთან შეთანხმებით.<br><br>8. სააგენტოს უფროსი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშნოს და გაათავისუფლოს სააგენტოს თანამშრომლები.<br><br>მუხლი 2. მოქმედების ფარგლები<br><br>წინამდებარე წესებით წარიმართება საქმიანობა და ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელების დროს საქართველოს ტერიტორიაზე, მისი ტერიტორიული წყლებისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3<br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br>3 | 3<br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br>11 | მუხლი 3. გამოყენების სფერო<br><br>წესები გამოიყენება საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე, ინვესტორებთან, საოპერაციო კომპანიებთან, ოპერატორებთან, მენარდეებთან, ქვემენარდეებთან, ნავთობის ეროვნულ კომპანიასთან, სააგენტოსთან, საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან და ყველა სხვა პირთან მიმართებაში, ვინც ახორციელებს ან განაგებს ნავთობისა და გაზის ოპერაციებს. წესები თანაბრად ვრცელდება ნავთობისა და გაზის ყველა ოპერაციაზე, მიუხედავად იმისა, თუ როდის დაიდო ხელშეკრულება (რომლის საფუძველზეც ხორციელდება ნავთობისა და გაზის ოპერაციები) წინამდებარე წესების ძალაში შესვლამდე თუ ძალაში შესვლის შემდეგ.<br><br><br>მუხლი 11. წესების მიზანი<br><br>ამ წესების XIII კარში განსაზღვრული ვალდებულებებისა და ფუნქციების შესრულების მიზნით სააგენტომ უნდა გამოიყენოს თავისი მარეგულირებელი უფლებამოსილება ისე , რომ უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების რაციონალურ მოპოვება , დაცვა და განვითარება , ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების პროცესში . | სშ<br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br>სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | 15 | მუხლი 15. სახელმძღვანელო დოკუმენტები<br><br>1. ოპერატორს შეუძლია გამოიყენოს სტანდარტები, ნორმები, სერტიფიკაციის პროცედურები და სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც დამტკიცებულია საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტიზაციისა და სერთიფიკაციის ორგანოებისა და სააგენტოების მიერ და მიღებულია აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ავსტრალიის, ნორვეგიის, ნიდერლანდების, საქართველოსა ან რუსეთის ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი უწყებების/სააგენტოების ან ჯანმრთელობის, გარემოსა და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის სახელმწიფო უწყებების მიერ.<br><br>2. ოპერატორს შეუძლია გამოიყენოს ასეთი სტანდარტები, ნორმები და წესები , თუ არ ირღვევა ამ წესების მე-16 მუხლის მოთხოვნები. გარდა ამისა, შეიძლება გამოყენებულ იქნ ე ს სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც მომზადებულია ისეთი საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ როგორიც არის: ბურღვის მენარდეების საერთაშორისო ასოციაცია (IADC), გეოფიზიკური მენარდეების საერთაშორისო ასოციაცია (IAGC), ნავთობისა და გაზის მომპოვებლების საერთაშორისო ასოციაცია (OGP), გაერო (UN), ამერიკის ნავთობის ინსტიტუტი (API), სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO), ინჟინერ-მენავთობეების საზოგადოება (SPE), ნავთობის მსოფლიო კონგრესი (WPC), საერთაშორისო საზღვაო | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ორგანიზაცია (IMO), ლოიდის რეესტრი, ამერიკის გადაზიდვების ბიურო (ABS), დენ ნორსკ ვერიტას (DNV), ნავთობის ინსტიტუტი (IP), ევროკავშირი (EU).<br><br>3. ამ დოკუმენტების გამოყენების ერთადერთი მიზნია დაეხმაროს ოპერატორს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების შესასრულებლად აუცილებელი სტანდარტებისა და საუკეთესო და უსაფრთხო ტექნოლოგიების შერჩევაში. ნავთობისა და გაზის ოპერაციების საუკეთესო და უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებისას აუცილებელია აგრეთვე გათვალისწინებულ იქნ ე ს მათი პრაქტიკულობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა და საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი ტექნოლოგიების გამოყენების უპირატესობები უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის კუთხით. | | |
| მეორე მუხლი | მუხლი 2<br>1. წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ უფლებას განსაზღვრონ თავიანთი ტერიტორიის ფართობები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ნახშირწყალბადების მოძიების, | 2 | 8[1] | მუხლი 8[1]. სააგენტოს ფუნქციები<br>1. სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:<br><br>ა) შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან კონსულტაციების შემდეგ ფართობის შერჩევა, რომელიც უნდა შესთავაზონ ინვესტორებს ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად; ფართობის შეთავაზების ფორმისა (ტენდერი ან აუქციონი) და ხელშეკრულების ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;<br><br>ბ) ტენდერის პირობებისა და აუქციონის წესების შემუშავება, რომელთა მიხედვითაც გამოვლინდება გამარჯვებული ინვესტორებისთვის ნავთობისა და გაზის | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კვლევისა და წარმოებისთვის.<br>2. როდესაც ფართობი ხელმისაწვდომია 1-ლი პუნქტით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ არ იყოს დისკრიმინაცია სუბიექტებს შორის ამ საქმიანობის ხელმისაწვდომობასა და განხორციელებასთან დაკავშირებით.<br>ამასთან, წევრ სახელმწიფოებს ეროვნული უსაფრთხოების საფუძველზე, შეუძლიათ უარი თქვან, მიანიჭონ ამ საქმიანობაზე წვდომა და ამ საქმიანობის განხორციელების უფლება ნებისმიერ სუბიექტს, რომელსაც | | | ოპერაციების საწარმოებლად შეთავაზებულ ფართობზე;<br><br>გ) ტენდერებისა და აუქციონების ორგანიზება, ჩატარება და გამარჯვებულის გამოვლენა ინვესტორებისთვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად შეთავაზებულ ფართობზე;<br><br>დ) ყველა ხელშეკრულების მომზადება, მოლაპარაკების წარმოება და ხელშეკრულების ხელმოწერა სახელმწიფოს სახელით. ხელშეკრულების მომზადებისას და მოლაპარაკების წარმოებისას სააგენტოს უფლება აქვს მოითხოვოს და აუცილებლად მიიღოს დახმარება ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულებისაგან, სახელმწიფო საწარმოსა და ორგანიზაციისაგან;<br><br>ე) სახელმწიფოს სახელით ინვესტორისათვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად საჭირო ლიცენზიების გაცემა; ყველა საჭირო უფლებამოსილების, მინაკუთვნის, ნებართვის, სერტიფიკატის დამტკიცება და გაცემა ან გაცემის გარანტიის მიცემა. სააგენტოს მიმართვის შემთხვევაში ყველა სახელმწიფო დაწესებულება, სახელმწიფო საწარმო და ორგანიზაცია ვალდებულია მოამზადოს და გადასცეს მას მოთხოვნილი დოკუმენტები;<br><br>ვ) ამ კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიით განსაზღვრული პირობების შესრულებისა და საქმიანობის ზედამხედველობა და კონტროლი; ხელშეკრულებითა და ლიცენზიით გათვალისწინებული მოვალეობების | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ეფექტურად აკონტროლებს მესამე ქვეყნები ან მესამე ქვეყნის მოქალაქეები.<br>. | | | შესასრულებლად ინვესტორისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა;<br><br>ზ) საქართველოში ნავთობისა და გაზის რესურსებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა და მართვა (მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია, ანალიზი და შენახვა);<br><br>თ) საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ნორმატიული აქტების გამოცემა არადისკრიმინაციული სამართლებრივი გარემოს შექმნისა და ნავთობისა და გაზის ოპერაციების ეფექტიანად განხორციელების მიზნით;<br><br>ი) ხელშეკრულებებით განსაზღვრული ყველა საოპერაციო და კომერციული მოვალეობის (მარეგულირებელი ფუნქციების გარდა) ნავთობის ეროვნული კომპანიისათვის გადაცემა, სანამ საქართველოს სახელმწიფო ან/და სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმო ფლობს მისი წილის (აქციების) 50%-ზე მეტს; ნავთობის ეროვნული კომპანიისათვის გადაცემული, ხელშეკრულებებით განსაზღვრული ყველა საოპერაციო და კომერციული მოვალეობის შესრულების კონტროლი;<br><br>კ) (ამოღებულია);<br><br>ლ) სახელმწიფოს სახელით ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ტრანსპორტირების ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ლიცენზიის (საქმიანობის ლიცენზია) გაცემა; ყველა საჭირო ნებართვის გაცემა და ფონდის დამტკიცება;<br><br>მ) საქმიანობის ლიცენზიის პირობების შესრულებისა და ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და ტრანსპორტირების საქმიანობის ზედამხედველობა და კონტროლი; საქმიანობის ლიცენზიით გათვალისწინებული მოვალეობების შესასრულებლად საქმიანობის ლიცენზიის მფლობელისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა;<br><br>ნ) ნავთობის გადამუშავებისა და გაზის დამუშავების ზედამხედველობა გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისა და ნავთობგაზპროდუქტების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით;<br><br>ო) საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიის შექმნა და მართვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;<br><br>პ) ნავთობის გადამუშავებასთან, გაზის დამუშავებასთან და ტრანსპორტირების საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა და მართვა (მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია, ანალიზი და შენახვა);<br><br>ჟ) სახელმწიფო ინტერესების, პოლიტიკისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით, ნორმატიული აქტების გამოცემა ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და ტრანსპორტირების საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით; | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | რ) ნედლეულისა და ნავთობგაზპროდუქტების სტანდარტების შემუშავებაში, შეცვლასა და დამტკიცებაში მონაწილეობა;<br><br>ს) ნედლეულისა და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირების ტარიფის დადგენა;<br><br>ტ) ამ კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების ან საქმიანობის ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების პროცესში ნავთობისა და გაზის ან ნედლეულის შეგროვების, მომზადების, შენახვის ან ტრანსპორტირების დროს არსებული ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობების დამტკიცება;<br><br>უ) სატრანსპორტო საშუალებასთან დაშვების რეგულირება და მონიტორინგი და ამ კანონის $25^{12}$ მუხლის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებასთან დაშვებასთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტა.<br><br>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებისას სააგენტო იცავს საჯაროობის პრინციპს; ტენდერებისა და აუქციონების პირობების შემუშავების პროცესში აწყობს მათ საჯარო განხილვას და ამ პირობებს ამტკიცებს საჯარო განხილვის შემდეგ. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | 5 | მუხლი 5. სააგენტოს დასკვნა გეგმის შესაბამისობაზე<br><br>1. სააგენტოს მიერ ნებისმიერი გეგმის განხილვა და დასკვნის გამოტანა საქართველოს კანონებთან, სათანადო ხელშეკრულებასა და ამ წესებთან შესაბამისობის თაობაზე არ შემოიფარგლება ამ გეგმების მარეგულირებელი (არაკომერციული და არასაოპერაციო) ასპექტებით, როგორებიცაა: რესურსების რაციონალური გამოყენება, გარემოს დაცვა, ტექნიკური უსაფრთხოება და ასეთი გეგმების ტექნიკური სტანდარტები მე-15 მუხლში ჩამოთვლილი სტანდარტების, ნორმებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად. სააგენტო იტოვებს უფლებას, ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიოს ნავთობის ეროვნულ კომპანიაზე დელეგირებული საოპერაციო და კომერციული მოვალეობების შესრულებას.<br><br>2. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სახელმწიფო ან/და სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმო აღარ ფლობს მისი წილის (აქციების) 50%-ზე მეტს, მაშინ სააგენტო თავის თავზე იღებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ყველა საოპერაციო და კომერციულ მოვალეობებს, ისევე, როგორც ყველა მარეგულირებელ ფუნქციას, რომელიც ადრე არ იქნა დელეგირებული, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| მესამე მუხლი | მუხლი 3<br>1. წევრი სახელმწიფოები იღებენ აუცილებელ ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ლიცენზია გაიცემა პროცედურების მიხედვით, რომელშიც ყველა დაინტერესებულ სუბიექტს შეუძლია განაცხადების წარდგენა მე-2 ან მე-3 პუნქტების შესაბამისად.<br>2. ამ პროცედურის ინიცირება მოხდება:<br>ა) ან კომპეტენტური ორგანოების ინიციატივით, განაცხადების მოწვევის შესახებ | N1 | 1.1 (10.1)<br>.<br>1.2 (10. $3^1$) | „1. ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ინვესტორს ენიჭება ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლუატაციისა და/ან ფართობზე ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის უფლებები, იდება სახელმწიფოსა და მხოლოდ სააგენტოს მიერ ჩატარებულ ტენდერსა ან აუქციონში გამარჯვებულ ინვესტორს შორის, ამ კანონის მე-10 მუხლის $3^1$ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ტენდერისა და აუქციონის ჩატარების პირობები იდენტურად უნდა აისახოს ხელშეკრულებასა და ამ კანონის შესაბამისად გაცემულ სარგებლობის ლიცენზიაში.“<br><br>„$3^1$. ნავთობისა და გაზის შემცველი იმ თავისუფალი წიაღით სარგებლობის უფლებები, რომელზეც არც ერთ ინვესტორს არა აქვს მინიჭებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელების უფლება, შეიძლება, სააგენტოს მიერ დადგენილი შესაბამისი ხელმოწერის ბონუსის გადახდის საფუძველზე და სააგენტოს მიერ დადგენილი პირობებითა და წესით, ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლუატაციისა და/ან ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის მიზნით, ტენდერისა და/ან აუქციონის გარეშე, გადაეცეს ინვესტორს, რომლის ფართობი უშუალოდ ესაზღვრება აღნიშნულ თავისუფალ წიაღს, თუ: | ნშ | დირექტივის შესაბამისად კანონში გაკეთდა ჩანაწერი, რომელიც გამონაკლისის სახით სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას ტენდერის/აუქციონის ჩატარების გარეშე ლიცენზია მიანიჭოს თავისუფალი ფართობის მომიჯნავე ფართობზე ანალოგიური ლიცენზიის მფლობელს (ნავთობისა და გაზის შესახებ კანონის პრეოქტის მეათე მუხლის პირველი პუნქტი). ამასთან, თავისუფალი ფართობის მომიჯნავე ფართობების ლიცენზიის მფლობელების ინტერესების უზრუნველსაყოფად, მათ უნდა ეცნობოთ ტენდერის/აუქციონის ჩატარების გარეშე ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილების შესახებ და განესაზღვროთ გონივრული ვადა დაინტერესების შემთხვევაში განაცხადის წარმოსადგენად (ნავთობისა და გაზის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შეტყობინების საშუალებით, რომელიც გამოქვეყნდება ევროპული გაერთიანების ოფიციალურ ჟურნალში განაცხადების დახურვის თარიღამდე სულ მცირე 90 დღით ადრე;<br>ბ) ან განაცხადის მოწვევის საშუალებით, რომელიც გამოქვეყნდება ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში სუბიექტის მიერ განცხადების წარდგენის შემდეგ, 2 (1) მუხლით დადგენილი წესის დაცვით. სხვა დაინტერესებულ პირებს აქვთ გამოქვეყნების დღიდან არანაკლებ 90 დღის ვადა | 2. | $10.3^2$.<br>10. | ა) ფართობზე არსებული ბუნებრივი რეზერვუარის საზღვრები სცდება ფართობის საზღვრებს და გადადის თავისუფალი წიაღის შესაბამის ნაწილზე, და/ან<br>ბ) ფართობზე დაგეგმილი კონკრეტული ნავთობისა და გაზის ოპერაციის განხორციელება შეუძლებელია ინვესტორისათვის თავისუფალი წიაღის შესაბამისი ნაწილით სარგებლობის უფლების გადაცემის გარეშე, და/ან<br>გ) თავისუფალი წიაღის შესაბამისი ნაწილით სარგებლობის უფლების ინვესტორისთვის გადაცემა აუცილებელია სხვა საფუძვლიანი გეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე.<br><br>$3^2$. ნავთობისა და გაზის შემცველი თავისუფალი წიაღით სარგებლობის უფლებების ამ მუხლის $3^1$ პუნქტით მინიჭების შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს ყველა იმ ინვესტორს, რომლის ფართობი უშუალოდ ესაზღვრება აღნიშნულ თავისუფალ წიაღს, რათა დაინტერესების შემთხვევაში მათ ქონდეთ გონივრული ვადა შესაბამისი განაცხადების წარმოსადგენად.<br><br>მუხლი 10. ინვესტორისთვის ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების უფლებების მინიჭების პროცედურა<br>1. ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც ინვესტორს ენიჭება ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლუატაციისა და ფართობზე ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის უფლებები, იდება სახელმწიფოსა და მხოლოდ სააგენტოს მიერ ჩატარებულ ტენდერში ან აუქციონში | სშ | შესახებ კანონის პროექტის მეათე მუხლის $3^2$ პუნქტი).<br><br>კანონის პროექტის $3^2$ პუნქტის ჩანაწერი არ მოდის დირექტივის ტექსტთან წინააღმდეგობაში და მხოლოდ აზუსტებს დირექტივის ზოგად მითითებას „გეოლოგიური და მოპოვების ვარაუდებთან დაკავშირებით“. გარდა ამისა, ის დამატებითი მექანიზმია, იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ცვლილებებით გათვალისწინებული გამონაკლისის შემოღებასთან დაკავშირებული რისკები, რადგან უფრო დეტალურად განსაზღვრავს იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაიშვება გამონაკლისი. |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | განაცხადის წარდგენისათვის. შეტყობინებებში მითითებული უნდა იყოს ლიცენზიის ტიპი, გეოგრაფიული არეალი ან ფართობები, რომლებშიც შეტანილია ან შეიძლება განხორციელდეს განაცხადი, და ლიცენზიის მინიჭების შემოთავაზებული თარიღი ან დრო. როდესაც უპირატესობა ენიჭება ერთეულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს განცხადებებს, შეტყობინებაში უნდა იყოს მითითებული.<br>3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გასცენ ლიცენზია მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დაწყების გარეშე, როდესაც | | | გამარჯვებულ ინვესტორს შორის. ტენდერისა და აუქციონის ჩატარების პირობები იდენტურად უნდა აისახოს ხელშეკრულებაში და ამ კანონის შესაბამისად გაცემულ ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალურ ლიცენზიაში.<br>2. სააგენტო განსაზღვრავს ტენდერისა და აუქციონის ჩატარების წესებსა და პროცედურას და შესაბამისად ტენდერის ან აუქციონის გამოცხადებამდე ერთი თვით ადრე ატარებს მას რეგისტრაციაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.<br>3. თუ ტენდერის ან აუქციონის გამოსაცხადებლად შერჩეულ ფართობზე დაფიქსირებულია სხვა წიაღისეულის საბადოების არსებობაც, სააგენტო საბოლოო გადაწყვეტილებას ტენდერის გამოცხადების შესახებ საჭიროების შემთხვევაში იღებს სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებასთან შეთანხმებით.<br>4. ინვესტორმა, რომელსაც სურს სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში ან აუქციონში მონაწილეობა, სააგენტოს უნდა წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:<br>ა) ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების ან/და ექსპლუატაციის ფორმები და პარამეტრები;<br>ბ) განმცხადებლის მისამართი და მისი საქმიანი კონტაქტები საწარმოო და ფინანსურ პარტნიორებთან;<br>გ) მონაცემები განმცხადებლის მფლობელების და მმართველი პერსონალის შესახებ;<br>დ) განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობა და ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების ან/და ექსპლუატაციის ოპერაციების დაფინანსების შესაძლო წყაროები;<br>ე) განმცხადებლის ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობები, აგრეთვე, თუ შესაძლებელია, განმცხადებლის | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ტერიტორია, რომლისთვისაც მოითხოვება ლიცენზია:<br>ა) თუ ფართობი მუდმივად თავისუფალია; ან<br>ბ) პუნქტის შესაბამისად უკვე იყო განხორციელებული პროცედურა, რომელსაც არ მოჰყოლია ლიცენზიის გაცემა; ან<br>გ) თუ ფართობი დაბრუნებულია ინვესტორის მიერ და ავტომატურად არ ექცევა (ა) პუნქტში.<br>წევრმა სახელმწიფომ, რომელსაც სურს ამ პუნქტის გამოყენება, ამ დირექტივის მიღებიდან 3 თვის განმავლობაში ან, იმ წევრი სახელმწიფოების შემთხვევაში, რომელთაც ჯერ არ აქვთ შემოღებული ასეთი პროცედურები, დაუყოვნებლივ, | | | სავარაუდო პარტნიორების ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობები;<br>ვ) განმცხადებლის გამოცდილება (კვალიფიკაცია) და იმ ქვეყნების სია, სადაც იგი მუშაობდა ბოლო 5 წლის განმავლობაში;<br>ზ) განმცხადებლის წინადადება ფართობზე ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების ან/და ექსპლუატაციის ოპტიმალურად ჩატარების შესახებ;<br>თ) განმცხადებლის გარანტია, რომ იგი სააგენტოს მიაწვდის სრულ ინფორმაციას ფართობზე ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების შესახებ;<br>ი) საჭიროების შემთხვევაში, მიწის კერძო მესაკუთრის წინასწარი თანხმობა ინვესტორის მიერ ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების დროს მისი მიწის გამოყენებაზე და იჯარის პირობები. თუ განმცხადებელმა ვერ შეძლო მიწის მესაკუთრისაგან წინასწარი თანხმობის მიღება, მან უნდა წარადგინოს ინფორმაცია ამ მიწის ადგილმდებარეობის, პარამეტრების და წინასწარი მოლაპარაკების დროს წარმოქმნილი სიძნელეების შესახებ, აგრეთვე მიწის მესაკუთრისთვის შეთავაზებული ხელშეკრულების დეტალები.<br>5. ტენდერის ჩატარების შემთხვევაში:<br>ა) გამარჯვებულად ითვლება განმცხადებელი, რომელიც აკმაყოფილებს ტენდერის მოთხოვნებს და წარადგენს ეკონომიკურად და ტექნიკურად ყველაზე მისაღებ განაცხადს. ინვესტორის ტენდერში გამარჯვებიდან ერთი თვის განმავლობაში, ტენდერში მონაწილეობის პირობების შესაბამისად, იწყება მოლაპარაკება სააგენტოსა და ტენდერში გამარჯვებულ ინვესტორს შორის ხელშეკრულების დადების მიზნით; | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ევროპული გაერთიანების ოფიციალურ ჟურნალში უნდა უზრუნველყოს შეტყობინების განთავსება, სადაც მითითებული იქნება თავისი ტერიტორიის იმ ფართობების თაობაზე, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ამ პუნქტის შესაბამისად და ასევე იმის შესახებ, თუ სად არის შესაძლებელი ამასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მოძიება. ამ ინფორმაციის ნებისმიერი არსებითი ცვლილების შესახებ უნდა გაკეთდეს ცალკე შეტყობინება. თუმცა, ამ პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის შესახებ განაცხადი არ შეიძლება განხილულ იქნას ამ ტექსტის შესაბამისი | 2 | 15[1] | ბ) თუ წარდგენილია მხოლოდ ერთი განაცხადი, სააგენტოს უფლება აქვს გააუქმოს ტენდერი;<br>გ) თუ რამდენიმე განმცხადებელი ერთნაირად აკმაყოფილებს ტენდერის მოთხოვნებს, განმცხადებლებს შორის აუქციონი ჩატარდება;<br>დ) თუ მოლაპარაკების დაწყებიდან ექვსი თვის განმავლობაში სააგენტოსა და ტენდერში გამარჯვებულ ინვესტორს შორის ხელშეკრულება არ დაიდება, ტენდერის შედეგები გაუქმებულად ჩაითვლება;<br>ე) თუ ტენდერის მოთხოვნებს ვერც ერთი განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს, სააგენტო ტენდერს გაუქმებულად აცხადებს.<br>6. აუქციონის ჩატარების შემთხვევაში:<br>ა) გამარჯვებულად ითვლება განმცხადებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებს და სახელმწიფოს სთავაზობს ყველაზე მეტ თანხას. ინვესტორის აუქციონში გამარჯვებიდან ერთი თვის განმავლობაში, აუქციონში მონაწილეობის პირობების შესაბამისად, იწყება მოლაპარაკება სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ ინვესტორს შორის ხელშეკრულების დადების მიზნით;<br>ბ) თუ არ არის ფასიანი შეთავაზებები, სააგენტო აუქციონს გაუქმებულად აცხადებს.<br>7. ტენდერში ან აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელი იხდის სააგენტოს მიერ დადგენილ შენატანს, რომელიც მას აღარ უბრუნდება.<br><br>მუხლი 15[1]. ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის გამცემი ორგანო | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შეტყობინების გამოქვეყნებამდე.<br>4. წევრ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს არ გამოიყენოს 1-ლი პუნქტის დებულებები, თუ და იმდენად, რამდენადაც გეოლოგიური ან საწარმოო მოსაზრებები ამართლებს ფართობზე ლიცენზიის გაცემას მომიჯნავე ტერიტორიაზე ლიცენზიის მფლობელისთვის. დაინტერესებულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი სხვა მომიჯნავე ტერიტორიის ლიცენზიის მფლობელებს შეეძლოთ განაცხადების წარდგენა ასეთ შემთხვევაში და | 2 | 16 | ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალურ ლიცენზიას გასცემს სააგენტო.<br><br>მუხლი 16. ხელშეკრულების და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოქმედების ვადა<br><br>1. ხელშეკრულების და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის შესაბამისი ლიცენზიის მოქმედების მაქსიმალური ვადაა 25 წელი. მხარეები ძებნა-ძიებისა და მოპოვების ოპერაციების ვადებს განსაზღვრავენ დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ფარგლებში.<br>2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება დაიშვება ინვესტორის ინიციატივით იმ ვადით, რომელიც აუცილებელი და საკმარისია ნავთობისა და გაზის ეკონომიურად და რაციონალურად მოპოვების, გამოყენებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად. თუ ვადის გაგრძელება აუცილებელია 25-წლიანი ვადის გასვლამდე, იგი შეიძლება გაგრძელდეს დროებით, მაგრამ არა უმეტეს ხუთი წლისა.<br>3. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების წესი და პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდება.<br>4. ხელშეკრულებისა და ლიცენზიის პირობები არ მოქმედებს, თუ ადგილი აქვს | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მიეცეთ საკმარისი დრო ამისათვის.<br>5. 1-ლი პუნქტის მიზნებისთვის ლიცენზიის გაცემად არ უნდა ჩაითვალოს:<br>ა) ლიცენზიის გაცემა უკვე არსებული ლიცენზიის მფლობელ სუბიექტზე მხოლოდ მისი სახელის ან მესაკუთრის შეცვლის, ასეთი სუბიექტის შემადგენლობის ცვლილების ან ლიცენზიის გადაცემის გამო;<br>ბ) ლიცენზიის გაცემა იმ სუბიექტისთვის, რომელიც უკვე ფლობს ლიცენზიის სხვა ფორმას, როდესაც ამ უკანასკნელის ფლობა გულისხმობს ლიცენზიის მიღების უფლებას;<br>გ) ლიცენზიის ფარგლებში მიღებული კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილება | 2<br>2 | 19<br>23 | ფორსმაჟორს. ხელშეკრულების პირობების ფორსმაჟორით გამოწვეული შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ფორსმაჟორის არსებობის პერიოდი, ხელშეკრულების პირობების დაგვიანებით შესრულების გამო მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად საჭირო პერიოდთან ერთად, დაემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას.<br><br>მუხლი 19. ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია<br>1. ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალურ ლიცენზიას გასცემს სააგენტო ხელშეკრულების საფუძველზე, მისი ხელმოწერიდან ერთი თვის განმავლობაში. ლიცენზიის პირობები უნდა იყოს ხელშეკრულების პირობების იდენტური.<br>2. ინვესტორი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს.<br>3. ტენდერში ან აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელი ანაზღაურებს ტენდერის ან აუქციონის ჩატარების ხარჯებს სააგენტოს მიერ დადგენილი წესით.<br><br>მუხლი 23. საბადოს ერთობლივი ათვისება<br>1. საბადოს ერთობლივი ათვისება გულისხმობს ორ ან მეტ ინვესტორს შორის მოპოვების სამუშაოების კოორდინაციას ერთი საბადოს ფარგლებში, რომლის საზღვრებიც ვრცელდება თითოეული ინვესტორის სარგებლობაში არსებულ ფართობზე. | სშ<br>სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | (მიუხედავად იმისა, გაცემულ იქნა თუ არა ასეთი ლიცენზია მე-14 მუხლით დადგენილ თარიღამდე), რომელიც დაკავშირებულია საქმიანობის დაწყებასთან, შეჩერებასთან, გახანგრძლივებასთან ან შეწყვეტასთან ან თავად ამ ლიცენზიის გახანგრძლივებასთან.<br>6. წევრ სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს მესამე მუხლის პირველი პუნქტის დებულებები, თუ გეოლოგიური და მოპოვების ვარაუდები ამართლებს ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მინიჭებას იმ ინვესტორისათვის, რომელიც ფლობს ასეთ | 3 | 18 | 2. საბადოს ერთობლივი ათვისების აუცილებლობის შემთხვევაში ინვესტორებმა შეიძლება დადონ ხელშეკრულება საბადოს ერთობლივი ათვისების შესახებ. საბადოს ერთობლივი ათვისების პროექტი (ტექნოლოგიური სქემა) შეთანხმებული უნდა იყოს სააგენტოსთან.<br><br>3. თუ ინვესტორები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას საბადოს ერთობლივი ათვისების შესახებ, საკითხს დამოუკიდებელი ექსპერტული დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტს სააგენტო. სააგენტოს გადაწყვეტილება შეიძლება დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში. ექსპერტიზის ხარჯებს ნავთობისა და გაზის სავარაუდო მისაღები წილის პროპორციულად გაიღებენ ინვესტორები.<br><br>მუხლი 18. განაცხადის წარდგენა და დამტკიცება<br><br>1. გარდა წინასწარი ღონისძიებებისა, IX თავში აღწერილი ნებისმიერი ოპერაციის დაწყებამდე ოპერატორმა უფლებამოსილების მისაღებად უნდა გააკეთოს განაცხადი ამ წესების II, V, VI, VIII, IX და XI კარების დებულებების შესაბამისად. ნებისმიერი ოპერაციის დაწყებამდე ოპერატორმა სააგენტოსგან უნდა მიიღოს წერილობითი შეტყობინება განაცხადის დამტკიცების შესახებ. განაცხადის დამტკიცება არ შეიძლება შეჩერდეს ან დაგვიანებულ იქნეს დაუსაბუთებლად. წერილობითი შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს ოპერატორის მთავარ ოფისში ფოსტის, კურიერის, ელექტრონული ფოსტის, ფაქსის ან სხვა ისეთი საშუალებით, რომელიც იძლევა | სშ | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | უფლებამოსილებას მომიჯნავე ფართობზე. წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სხვა მომიჯნავე ტერიტორიებზე უფლებამოსილების მფლობელთა შესაძლებლობა ასეთ შემთხვევაში წარადგინონ თავიანთი განაცხადები, რისთვისაც უნდა მიეცეთ გონივრული ვადა. | | | დოკუმენტის ასლის მიღების შესაძლებლობას. სააგენტოს სიტყვიერ თანხმობას მაშინვე უნდა მიჰყვეს წერილობითი თანხმობა, რომელიც უნდა გაეგზავნოს ოპერატორის მთავარ ოფისს. სააგენტოს მიერ კონკრეტული უფლებამოსილების მინიჭებაზე შემოსული განაცხადის დამტკიცების წერილობითი შეტყობინება წარმოადგენს თვით უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელ საბუთს.<br><br>2. სააგენტოს უფლება აქვს უარყოს განაცხადი მხოლოდ წერილობითი ფორმით და კონკრეტული მიზეზის დასახელებით.<br><br>3. თუ სააგენტო არაფერს არ მოიმოქმედებს განაცხადის დამტკიცებასთან დაკავშირებით ამ წესებით განსაზღვრულ ვადებში, განაცხადი ჩაითვლება დამტკიცებულად და, შესაბამისად, უფლებამოსილებამინიჭებულად. თუ წესებით განსაზღვრული არ არის განაცხადის დამტკიცების ვადები, მაშინ უფლებამოსილების მინიჭებაზე განაცხადის მიღებიდან სააგენტოს პასუხამდე დგინდება ათ (10)-დღიანი ვადა. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეოთხე მუხლი | მუხლი 4<br>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ:<br>ა) თუ გეოგრაფიული არეალები არ არის მანამდე გამიჯნული ტერიტორიის გეომეტრიული დაყოფის საფუძველზე, თითოეული ტერიტორიის ფართობი განისაზღვროს ისე, რომ იგი არ აღემატებოდეს იმ ტერიტორიას, რომელიც გამართლებულია ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ამ საქმიანობის საუკეთესო შესაძლო განხორციელებით. მე-3 (2) მუხლით გათვალისწინებული | 2 | 16 | მუხლი 16. ხელშეკრულების და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოქმედების ვადა<br><br>1. ხელშეკრულების და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის შესაბამისი ლიცენზიის მოქმედების მაქსიმალური ვადაა 25 წელი. მხარეები ძებნა-ძიებისა და მოპოვების ოპერაციების ვადებს განსაზღვრავენ დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ფარგლებში.<br>2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება დაიშვება ინვესტორის ინიციატივით იმ ვადით, რომელიც აუცილებელი და საკმარისია ნავთობისა და გაზის ეკონომიურად და რაციონალურად მოპოვების, გამოყენებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად. თუ ვადის გაგრძელება აუცილებელია 25-წლიანი ვადის გასვლამდე, იგი შეიძლება გაგრძელდეს დროებით, მაგრამ არა უმეტეს ხუთი წლისა.<br>3. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების წესი და პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდება.<br>4. ხელშეკრულებისა და ლიცენზიის პირობები არ მოქმედებს, თუ ადგილი აქვს ფორსმაჟორს. ხელშეკრულების პირობების ფორსმაჟორით გამოწვეული შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ფორსმაჟორის არსებობის პერიოდი, ხელშეკრულების პირობების დაგვიანებით შესრულების გამო მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პროცედურების შესაბამისად გაცემული ლიცენზიების შემთხვევაში, ამ მიზნით ობიექტური კრიტერიუმები უნდა დადგინდეს და გახდეს სუბიექტებისთვის ხელმისაწვდომი მათ მიერ განაცხადების წარდგენამდე.<br>ბ) ლიცენზიის ხანგრძლივობა არ აღემატებოდეს იმ ვადას, რაც აუცილებელია იმ საქმიანობების განსახორციელებლად, რისთვისაც გაიცემა ლიცენზია. თუმცა, კომპეტენტურმა ორგანოებმა შეიძლება გაახანგრძლივონ ლიცენზია, თუ განსაზღვრული ვადა არ არის საკმარისი აღნიშნული საქმიანობის დასასრულებლად და როდესაც საქმიანობა | 2 | 1.1 („ვ“ „ჯ“, „ჰ“, „ა.დ“, ) | საჭირო პერიოდთან ერთად, დაემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას.<br><br>მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება<br>1. ამ კანონის მიზნებისათვის კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:<br>ვ) ფართობი – ხელშეკრულებით განსაზღვრული ტერიტორია, რომელზეც ინვესტორს ენიჭება ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების და მოპოვების ექსკლუზიური უფლება;<br>ჯ) ხელშეკრულება – სახელმწიფოსა და ინვესტორის წერილობითი შეთანხმება ფართობზე ინვესტორის მიერ ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების პირობების შესახებ;<br><br>ჰ) პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება – სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულ ფართობზე, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურებადი ურთიერთობის საფუძველზე ინვესტორს ენიჭება საქართველოს წიაღში ან/და კონტინენტურ შელფზე ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ექსკლუზიური უფლება. ინვესტორი იღებს ვალდებულებას თავისი რისკითა და ხარჯებით, ხელშეკრულების შესაბამისად, აწარმოოს ძებნა-ძიებისა და მოპოვების ყველა სამუშაო. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ნავთობისა და გაზის აღმოჩენის და მოპოვების შემთხვევაში ხელი შეუწყოს ინვესტორის მიერ გაწეული ხარჯებისა და | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განხორციელდა ლიცენზიის შესაბამისად;<br>გ) სუბიექტები იმ გეოგრაფიულ არეალში, რომლისთვისაც მათ მიიღეს ლიცენზია, არ ინარჩუნებდნენ ექსკლუზიურ უფლებებს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს აუცილებელია ლიცენზირებული საქმიანობის სათანადოდ შესრულებისთვის. | 2 | 8.$^{1}$ 1 „ა“-„გ“ | დანახარჯების ანაზღაურებას ამ კანონისა და ხელშეკრულების შესაბამისად;<br><br>ა.დ) ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია (სარგებლობის ლიცენზია) – სააგენტოს მიერ სახელმწიფოს სახელით გაცემული იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფართობზე ინვესტორის მიერ ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების ან მოპოვების საქმიანობის უფლებას;<br><br>მუხლი 8$^{1}$. სააგენტოს ფუნქციები<br>1. სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:<br><br>ა) შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან კონსულტაციების შემდეგ ფართობის შერჩევა, რომელიც უნდა შესთავაზონ ინვესტორებს ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად; ფართობის შეთავაზების ფორმისა (ტენდერი ან აუქციონი) და ხელშეკრულების ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;<br><br>ბ) ტენდერის პირობებისა და აუქციონის წესების შემუშავება, რომელთა მიხედვითაც გამოვლინდება გამარჯვებული ინვესტორებისთვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად შეთავაზებულ ფართობზე;<br><br>გ) ტენდერებისა და აუქციონების ორგანიზება, ჩატარება და გამარჯვებულის გამოვლენა ინვესტორებისთვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად შეთავაზებულ ფართობზე; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2<br><br>2 | 10.1<br><br>23.1,2 . | მუხლი 10. ინვესტორისთვის ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების უფლებების მინიჭების პროცედურა<br><br>1. ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც ინვესტორს ენიჭება ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლუატაციისა და ფართობზე ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის უფლებები, იდება სახელმწიფოსა და მხოლოდ სააგენტოს მიერ ჩატარებულ ტენდერში ან აუქციონში გამარჯვებულ ინვესტორს შორის. ტენდერისა და აუქციონის ჩატარების პირობები იდენტურად უნდა აისახოს ხელშეკრულებაში და ამ კანონის შესაბამისად გაცემულ ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალურ ლიცენზიაში.<br><br>მუხლი 23. საბადოს ერთობლივი ათვისება<br>1. საბადოს ერთობლივი ათვისება გულისხმობს ორ ან მეტ ინვესტორს შორის მოპოვების სამუშაოების კოორდინაციას ერთი საბადოს ფარგლებში, რომლის საზღვრებიც ვრცელდება თითოეული ინვესტორის სარგებლობაში არსებულ ფართობზე.<br>2. საბადოს ერთობლივი ათვისების აუცილებლობის შემთხვევაში ინვესტორებმა შეიძლება დადონ ხელშეკრულება საბადოს ერთობლივი ათვისების შესახებ. საბადოს ერთობლივი ათვისების პროექტი (ტექნოლოგიური სქემა) შეთანხმებული უნდა იყოს სააგენტოსთან. | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | 6 | მუხლი 6. ინფორმაციის წარდგენა<br><br>წესების მიზანია უზრუნველყოს ოპერატორს, ნავთობის ეროვნულ კომპანიასა და სააგენტოს შორის ინფორმაციული ნაკადის სისტემატური და დროული წარმართვა. ყველა მონაცემი, ანგარიში და წესებით მოთხოვნილი ინფორმაცია, საერთაშორისო ნავთობმრეწველობის პრაქტიკის შესაბამისად წარდგენილი უნდა იყოს დროულად, იმ პირობით, რომ მონაცემები, ანგარიშები და ინფორმაცია უნდა წარედგინოს სააგენტოს არაუგვიანეს წესებში მითითებულ თარიღებამდე. ინფორმაციის კონფიდენციალურობას განსაზღვრავს LXVIII თავის დებულებები. | სშ | |
| | | 3 | 8 | მუხლი 8. პასუხისმგებლობა<br><br>სააგენტო პასუხისმგებელია ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიების, შეფასების, დამუშავების, ექსპლუატაციისა და ლიკვიდაციის წესების გამოქვეყნებაზე, საერთაშორისო ნავთობმრეწველობის პრაქტიკის შესაბამისად. | სშ | |
| | | 3 | 9 | მუხლი 9. ფუნქციები<br><br>თავისი ვალდებულების შესრულების მიზნით, სააგენტომ უნდა:<br><br>ა) გამოაქვეყნოს ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული წესები ; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ბ) იმოქმედოს ამ წესების შესაბამისად მიღებული თხოვნების , განაცხადების და შეტყობინებების საპასუხოდ ;<br><br>გ) ნავთობისა და გაზის ოპერაციების რეგულირებისათვის გასცეს წერილობითი განკარგულებები ;<br><br>დ) მოითხოვოს მოქმედი კანონმდებლობისა და წესების დაცვა . | | |
| მეხუთე მუხლი | მუხლი 5<br>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ:<br>1. ლიცენზიები ყველა შემთხვევაში გაიცეს იმ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომლებიც ეხება:<br>ა) სუბიექტების ტექნიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს; და<br>ბ) გზას, რომლის შესაბამისადაც ისინი სთავაზობენ განსახილველი გეოგრაფიული არეალის მოძებას, | 2 | 10 | მუხლი 10. ინვესტორისთვის ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების უფლებების მინიჭების პროცედურა<br>1. ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც ინვესტორს ენიჭება ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლუატაციისა და ფართობზე ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის უფლებები, იდება სახელმწიფოსა და მხოლოდ სააგენტოს მიერ ჩატარებულ ტენდერში ან აუქციონში გამარჯვებულ ინვესტორს შორის. ტენდერისა და აუქციონის ჩატარების პირობები იდენტურად უნდა აისახოს ხელშეკრულებაში და ამ კანონის შესაბამისად გაცემულ ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალურ ლიცენზიაში.<br>2. სააგენტო განსაზღვრავს ტენდერისა და აუქციონის ჩატარების წესებსა და პროცედურას და შესაბამისად ტენდერის ან აუქციონის გამოცხადებამდე ერთი თვით ადრე ატარებს მას რეგისტრაციაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.<br>3. თუ ტენდერის ან აუქციონის გამოსაცხადებლად შერჩეულ ფართობზე დაფიქსირებულია სხვა წიაღისეულის საბადოების არსებობაც, სააგენტო საბოლოო გადაწყვეტილებას ტენდერის გამოცხადების შესახებ საჭიროების შემთხვევაში იღებს სხვა | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გამოკვლევას და/ან წარმოებაში მოყვანას;<br>და, სადაც საჭიროა:<br>გ) თუ ლიცენზია გატანილია გასაყიდად, იმ ფასს, რომლის გადახდისთვისაც მზადაა სუბიექტი ლიცენზიის მოსაპოვებლად;<br>დ) თუ (a), (b) და, საჭიროების შემთხვევაში, (c) კრიტერიუმის მიხედვით შეფასების შემდეგ, ორ ან მეტ განაცხადს აქვს თანაბარი შეფასება, სხვა შესაბამის ობიექტურ და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს, ამ განაცხადებს შორის საბოლოო არჩევანის გასაკეთებლად. განაცხადების შეფასებისას კომპეტენტურმა ორგანოებმა შესაძლოა ასევე მხედველობაში მიიღონ | | | დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებასთან შეთანხმებით.<br>4. ინვესტორმა, რომელსაც სურს სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში ან აუქციონში მონაწილეობა, სააგენტოს უნდა წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:<br>ა) ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების ან/და ექსპლუატაციის ფორმები და პარამეტრები;<br>ბ) განმცხადებლის მისამართი და მისი საქმიანი კონტაქტები საწარმოო და ფინანსურ პარტნიორებთან;<br>გ) მონაცემები განმცხადებლის მფლობელების და მმართველი პერსონალის შესახებ;<br>დ) განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობა და ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების ან/და ექსპლუატაციის ოპერაციების დაფინანსების შესაძლო წყაროები;<br>ე) განმცხადებლის ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობები, აგრეთვე, თუ შესაძლებელია, განმცხადებლის სავარაუდო პარტნიორების ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობები;<br>ვ) განმცხადებლის გამოცდილება (კვალიფიკაცია) და იმ ქვეყნების სია, სადაც იგი მუშაობდა ბოლო 5 წლის განმავლობაში;<br>ზ) განმცხადებლის წინადადება ფართობზე ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების ან/და ექსპლუატაციის ოპტიმალურად ჩატარების შესახებ;<br>თ) განმცხადებლის გარანტია, რომ იგი სააგენტოს მიაწვდის სრულ ინფორმაციას ფართობზე ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების შესახებ;<br><br>ი) საჭიროების შემთხვევაში, მიწის კერძო მესაკუთრის წინასწარი თანხმობა ინვესტორის მიერ ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების დროს მისი მიწის გამოყენებაზე და იჯარის პირობები. თუ | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განმცხადებლების მიერ წინა ლიცენზიების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობებში გამოვლენილი ეფექტურობისა და პასუხისმგებლობის ნაკლებობა; როდესაც კომპეტენტური ორგანოები განსაზღვრავენ იმ სუბიექტის შემადგენლობას, რომელზეც შესაძლოა გასცენ ლიცენზია, მათ აღნიშნული უნდა დააფუძნონ ობიექტურ და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს. როდესაც კომპეტენტური ორგანოები განსაზღვრავენ იმ სუბიექტის ოპერატორს, რომელზეც შესაძლოა გასცენ ლიცენზია, მათ აღნიშნული უნდა | | | განმცხადებელმა ვერ შეძლო მიწის მესაკუთრისაგან წინასწარი თანხმობის მიღება, მან უნდა წარადგინოს ინფორმაცია ამ მიწის ადგილმდებარეობის, პარამეტრების და წინასწარი მოლაპარაკების დროს წარმოქმნილი სიძნელეების შესახებ, აგრეთვე მიწის მესაკუთრისთვის შეთავაზებული ხელშეკრულების დეტალები.<br>5. ტენდერის ჩატარების შემთხვევაში:<br>ა) გამარჯვებულად ითვლება განმცხადებელი, რომელიც აკმაყოფილებს ტენდერის მოთხოვნებს და წარადგენს ეკონომიკურად და ტექნიკურად ყველაზე მისაღებ განაცხადს. ინვესტორის ტენდერში გამარჯვებიდან ერთი თვის განმავლობაში, ტენდერში მონაწილეობის პირობების შესაბამისად, იწყება მოლაპარაკება სააგენტოსა და ტენდერში გამარჯვებულ ინვესტორს შორის ხელშეკრულების დადების მიზნით;<br>ბ) თუ წარდგენილია მხოლოდ ერთი განაცხადი, სააგენტოს უფლება აქვს გააუქმოს ტენდერი;<br>გ) თუ რამდენიმე განმცხადებელი ერთნაირად აკმაყოფილებს ტენდერის მოთხოვნებს, განმცხადებლებს შორის აუქციონი ჩატარდება;<br>დ) თუ მოლაპარაკების დაწყებიდან ექვსი თვის განმავლობაში სააგენტოსა და ტენდერში გამარჯვებულ ინვესტორს შორის ხელშეკრულება არ დაიდება, ტენდერის შედეგები გაუქმებულად ჩაითვლება;<br>ე) თუ ტენდერის მოთხოვნებს ვერც ერთი განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს, სააგენტო ტენდერს გაუქმებულად აცხადებს.<br>6. აუქციონის ჩატარების შემთხვევაში:<br>ა) გამარჯვებულად ითვლება განმცხადებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებს და სახელმწიფოს | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დააფუძნონ ობიექტურ და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს. კრიტერიუმები შედგენილ უნდა იქნას და გამოქვეყნდეს ევროპული გაერთიანების ოფიციალურ ჟურნალში განაცხადების წარდგენის დაწყებამდე. წევრ სახელმწიფოებს, რომლებმაც უკვე გამოაქვეყნეს კრიტერიუმები თავიანთ ოფიციალურ ჟურნალებში, შეუძლიათ შემოიფარგლონ ევროპული გაერთიანების ოფიციალურ ჟურნალში თავიანთ ოფიციალურ ჟურნალებზე მითითების გაკეთებით. თუმცა, კრიტერიუმების ნებისმიერი | | | სთავაზობს ყველაზე მეტ თანხას. ინვესტორის აუქციონში გამარჯვებიდან ერთი თვის განმავლობაში, აუქციონში მონაწილეობის პირობების შესაბამისად, იწყება მოლაპარაკება სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ ინვესტორს შორის ხელშეკრულების დადების მიზნით;<br>ბ) თუ არ არის ფასიანი შეთავაზებები, სააგენტო აუქციონს გაუქმებულად აცხადებს.<br>7. ტენდერში ან აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელი იხდის სააგენტოს მიერ დადგენილ შენატანს, რომელიც მას აღარ უბრუნდება. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ცვლილება სრულად უნდა გამოქვეყნდეს ევროპული გაერთიანების ოფიციალურ ჟურნალში;<br>2. პირობები და მოთხოვნები საქმიანობის განხორციელებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით, რომლებიც ვრცელდება ლიცენზიის თითოეულ ტიპზე განცხადების წარდგენის დროს მოქმედი კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების შესაბამისად, იქნება ეს თავად ლიცენზიით გათვალისწინებული, თუ ასეთი ლიცენზიის გაცემისთვის აუცილებელი ერთ-ერთი პირობა, | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დადგენილი და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის ნებისმიერ დროს. 3(2)(a) მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მათი ხელმისაწვდომობა შესაძლებელია მხოლოდ იმ თარიღიდან, საიდანაც შესაძლებელია ლიცენზიის შესახებ განაცხადების წარდგენა;<br>3. პროცედურის განმავლობაში პირობებსა და მოთხოვნებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ეცნობება ყველა დაინტერესებულ სუბიექტს;<br>4. ამ მუხლით გათვალისწინებული | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კრიტერიუმები, პირობები და მოთხოვნები გამოიყენება არადისკრიმინაციული ფორმით;<br>5. ნებისმიერ სუბიექტს, რომლის განაცხადი ლიცენზიის თაობაზე წარუმატებელია, მისი სურვილის შემთხვევაში, ეცნობება ამ გადაწყვეტილების მიზეზების შესახებ. | | | | | |
| მეექვსე მუხლი | მუხლი 6<br>1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოფენ, რომ მე-5(2) მუხლში მითითებული პირობები და მოთხოვნები და კონკრეტული ლიცენზიის | 2 | 8[1] („ი“) | მუხლი 8[1]. სააგენტოს ფუნქციები<br>1. სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:<br>ი) ხელშეკრულებებით განსაზღვრული ყველა საოპერაციო და კომერციული მოვალეობის (მარეგულირებელი ფუნქციების გარდა) ნავთობის ეროვნული კომპანიისათვის გადაცემა, სანამ საქართველოს სახელმწიფო ან/და სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმო ფლობს მისი წილის (აქციების) 50%-ზე მეტს; ნავთობის ეროვნული კომპანიისათვის გადაცემული, ხელშეკრულებებით განსაზღვრული ყველა საოპერაციო და კომერციული მოვალეობის შესრულების კონტროლი. | სშ | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გამოყენებისთვის საჭირო დეტალური ვალდებულებები გამართლებული იყოს მხოლოდ იმ სფეროში საქმიანობის სათანადო შესრულების უზრუნველსაყოფად, რომლისთვისაც მოითხოვება ლიცენზია, მე-2 პუნქტის გამოყენებით ან ფინანსური კონტრიბუციის განხორციელებით ან ნახშირწყალბადებში კონტრიბუციით.<br>2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, რამდენადაც ეს გამართლებულია ეროვნული უსაფრთხოებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ტრანსპორტის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, ბიოლოგიური რესურსების და მხატვრული, ისტორიული ან არქეოლოგიური ღირებულების მქონე ეროვნული საგანძურის დაცვით, დანადგარებისა და მუშახელის უსაფრთხოებით, ნახშირწყალბადის რესურსების დაგეგმილი მართვით (მაგალითად ნახშირწყალბადების ამოწურვის ტემპი ან მათი აღდგენის ოპტიმიზაცია) ან საგადასახადო შემოსავლების უზრუნველყოფის საჭიროებით, დააწესონ | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პირობები და მოთხოვნები მე-2(1) მუხლით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებაზე.<br>3. 1-ლ პუნქტში მითითებული კონტრიბუციების გადახდის წესები, მათ შორის, სახელმწიფოს მონაწილეობის ნებისმიერი მოთხოვნა, უნდა დადგინდეს წევრი სახელმწიფოების მიერ იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს სუბიექტების მართვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება.<br>თუმცა, როდესაც ლიცენზიის მინიჭება გულისხმობს სახელმწიფოს მონაწილეობას აქტივობებში და | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | როდესაც ამ მონაწილეობის მართვა ევალება იურიდიულ პირს, ან როდესაც თავად სახელმწიფო უზრუნველყოფს მონაწილეობას, არც იურიდიული პირი და არც სახელმწიფო არ უნდა იქნან შეზღუდულნი ასეთ მონაწილეობასთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებისას, რომელიც მონაწილეობის მნიშვნელობის ექვივალენტურია, იმ პირობით, რომ იურიდიული პირი ან სახელმწიფო არ იქნება ინფორმაციის მხარე და არ განახორციელებს ხმის მიცემის უფლებას გადაწყვეტილებებზე, რომლებიც შეეხება სუბიექტებისთვის შესყიდვების | 2 | 9 | მუხლი 9. საქართველოს ნავთობის ეროვნული კომპანია<br>1. საქართველოს ნავთობის ეროვნული კომპანიის ფუნქციებს ასრულებს საწარმო, რომელსაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით მინიჭებული აქვს ნავთობის ეროვნული კომპანიის სტატუსი. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ნავთობის ეროვნული კომპანიის პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.<br>2. ამ კანონის 81 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სანამ საქართველოს სახელმწიფო ან/და სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმო ფლობს მისი წილის (აქციების) 50%-ზე მეტს, ნავთობის ეროვნული კომპანიის ფუნქციებია:<br>ა) ნავთობისა და გაზის ხელშეკრულების მომზადებაში და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობა, ხელშეკრულების პარაფირება სააგენტოს მიერ მის ოფიციალურ ხელმოწერამდე;<br>ბ) ხელშეკრულებების შესრულებისას საქართველოს მხრიდან კომერციული პარტნიორის სახით მოქმედება;<br>გ) საქართველოში მოპოვებული ნავთობისა და გაზის სახელმწიფოს კუთვნილი წილის განკარგვა, რეგულირების საფასურის გადახდა და პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებული ყველა გადასახადის | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | წყაროებს, რომ იურიდიული პირი ან სახელმწიფო ნებისმიერ საჯარო სუბიექტთან ან სუბიექტებთან კომბინაციაში, არ განახორციელებს უმრავლესობის მიერ ხმის მიცემის უფლებას სხვა გადაწყვეტილებებზე და რომ სახელმწიფოს ან იურიდიული პირის მიერ ხმის მიცემა დაეფუძნება მხოლოდ გამჭვირვალე, ობიექტურ და არადისკრიმინაციულ პრინციპებს და ხელს არ შეუშლის იმას, რომ სუბიექტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები დაფუძნებული იყოს ჩვეულებრივ კომერციულ პრინციპებზე. თუმცა, წინა ქვეპუნქტის დებულებები არ უშლის ხელს | | | საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა;<br>დ) სამთო სამუშაოების გეგმებისა და ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღის ათვისების ტექნოლოგიური სქემების სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარება;<br>ე) პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში ინვესტორთან ერთად პარიტეტულ საწყისებზე საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა, რომლის ფუნქციები განისაზღვრება, მაგრამ არ შემოიფარგლება, სამუშაო პროგრამების, ბიუჯეტების და ათვისების გეგმების დამტკიცებით და მათი განხორციელების სააგენტოსთან ერთად კონტროლით;<br>ვ) ყველა სხვა ფუნქცია, რომელთა შესრულებაც შეიძლება მას დაეკისროს საქართველოს კანონმდებლობით.<br>3. საქართველოს ნავთობის ეროვნულ კომპანიას უფლება აქვს:<br>ა) დადოს ხელშეკრულება მესამე მხარესთან თავისი სახელით ან აფილირებული კომპანიის საშუალებით;<br>ბ) ჩამოაყალიბოს აფილირებული კომპანია და მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ ხელშეკრულებებში სხვა კომპანიებთან და დაწესებულებებთან ერთად; აქედან გამომდინარე იგი უფლებამოსილია შეიძინოს, ფლობდეს, გაყიდოს ან გადასცეს თავისი წილი;<br>გ) მონაწილეობა მიიღოს კოოპერაციულ და პარტნიორულ შეთანხმებებში მესამე მხარეებთან საქართველოში და უცხო ქვეყნებში. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | იურიდიულ პირს ან სახელმწიფოს, შეეწინააღმდეგოს ლიცენზიის მფლობელთა გადაწყვეტილებას, რომელიც არ ასრულებს ლიცენზიაში მითითებულ პირობებსა და მოთხოვნებს ამოწურვის პოლიტიკასთან და სახელმწიფოს ფინანსური ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებაზე წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა უნდა განხორციელდეს არადისკრიმინაციულ ი ფორმით, განსაკუთრებით, საინვესტიციო გადაწყვეტილებებსა და სუბიექტების მიწოდების წყაროებთან | 2 | 13.5 („ლ“) | მუხლი 13. პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება<br>5. პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება მოიცავს:<br>ლ) სტაბილიზაციის პირობებს, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფოს შეუძლია წილობრივი განაწილების ხელშეკრულებაში შეიტანოს დებულება იმის შესახებ, რომ თუ ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი იქნება ცვლილება (გარემოს, კულტურული მემკვიდრეობისა და საწარმოო უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების ცვლილებების გარდა), რომელიც გააუარესებს ინვესტორის საგადასახადო ვალდებულებებს, სახელმწიფო თანახმაა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები პროდუქციის წილობრივი განაწილების მოქმედ ხელშეკრულებაში, რათა ინვესტორმა შეინარჩუნოს იგივე ეკონომიკური პირობები, რაც მას ჰქონდა საკანონმდებლო ცვლილებამდე; | სშ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაკავშირებით. როდესაც სახელმწიფოს საქმიანობაში მონაწილეობის მართვას უზრუნველყოფს იურიდიული პირი, რომელიც, თავის მხრივ, ფლობს ლიცენზიებს, წევრმა სახელმწიფომ უნდა გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც დაავალდებულებს იურიდიულ პირს, რომ მან აწარმოოს განცალკევებული ანგარიშები თავისი კომერციული როლისთვის და მისი, როგორც სახელმწიფოს მონაწილეობის მმართველის როლისთვის და ასევე უზრუნველყოფს, რომ არ მოხდება ინფორმაციის გადაცემა იურიდიული პირის | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | იმ ნაწილიდან, რომელიც სახელმწიფოს მონაწილეობის მართვაზეა პასუხისმგებელი, მის იმ ნაწილში, რომელიც თავად ფლობს ლიცენზიას. თუმცა, როდესაც სახელმწიფოს მონაწილეობის მართვაზე პასუხისმგებელი იურიდიული პირის ნაწილი კონსულტანტად ჩართავს იურიდიული პირის იმ ნაწილს, რომელსაც თავად აქვს ლიცენზია, პირველს შეუძლია ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საკონსულტაციო სამუშაოს შესასრულებლად. ყველა ლიცენზიის მფლობელს, | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რომელსაც შეეხება აღნიშნული ინფორმაცია, წინასწარ უნდა ეცნობოს იმის თაობაზე, თუ რა ინფორმაცია იქნება გადაცემული ამ გზით და უნდა მიეცეს საკმარისი დრო წინააღმდეგობების დასაფიქსირებლად;<br>4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ლიცენზიის მქონე სუბიექტების მონიტორინგი შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმით, რაც აუცილებელია პირველ პუნქტში მითითებულ პირობებთან, მოთხოვნებთან და ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, მათ უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ის, რომ არც ერთი სუბიექტი არ იქნას დავალდებულებულ ლი, ნებისმიერი კანონის, რეგულაციის ან ადმინისტრაციულ ი მოთხოვნის, ნებისმიერი შეთანხმების ან ვალდებულების საფუძველზე, გასცეს ინფორმაცია შესყიდვის სავარაუდო ან რეალური წყაროების შესახებ, გარდა კომპეტენტური ორგანოების მიერ მოთხოვნის შემთხვევისა და მხოლოდ [დამფუძნებელი] ხელშეკრულების 36-ე მუხლში გათვალისწინებუ | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ლი მიზნების ფარგლებში; | | | | | |
| მეშვიდე მუხლი | მუხლი 7<br>იმ დებულებების, რომლებიც ეხება ან შედის ინდივიდუალურ ლიცენზიებში და ასევე 3.5(b) მუხლის დებულებების, შეზღუდვის გარეშე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ლიცენზიის მიღების უფლებას უტოვებენ ერთ სუბიექტს, უნდა გაუქმდეს შესაბამისი წევრი სახელმწიფოების მიერ 1997 წლის 1 იანვრამდე. | 1 | 1.1 (10.1)<br><br>1.2 (10. 3[1]) | „1. ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ინვესტორს ენიჭება ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლუატაციისა და/ან ფართობზე ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის უფლებები, იდება სახელმწიფოსა და მხოლოდ სააგენტოს მიერ ჩატარებულ ტენდერსა ან აუქციონში გამარჯვებულ ინვესტორს შორის, ამ კანონის მე-10 მუხლის 3[1] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ტენდერისა და აუქციონის ჩატარების პირობები იდენტურად უნდა აისახოს ხელშეკრულებასა და ამ კანონის შესაბამისად გაცემულ სარგებლობის ლიცენზიაში.“<br><br>„3[1]. ნავთობისა და გაზის შემცველი იმ თავისუფალი წიაღით სარგებლობის უფლებები, რომელზეც არც ერთ ინვესტორს არა აქვს მინიჭებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელების უფლება, შეიძლება, სააგენტოს მიერ დადგენილი შესაბამისი ხელმოწერის ბონუსის გადახდის საფუძველზე და სააგენტოს მიერ დადგენილი პირობებითა და წესით, ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლუატაციისა და/ან ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის მიზნით, ტენდერისა და/ან აუქციონის გარეშე, გადაეცეს ინვესტორს, რომლის ფართობი უშუალოდ ესაზღვრება აღნიშნულ თავისუფალ წიაღს, თუ:<br>ა) ფართობზე არსებული ბუნებრივი რეზერვუარის საზღვრები სცდება ფართობის საზღვრებს და გადადის თავისუფალი წიაღის შესაბამის ნაწილზე, და/ან | ნშ | დირექტივის შესაბამისად კანონში გაკეთდა ჩანაწერი, რომელიც გამონაკლისის სახით სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას ტენდერის/აუქციონის ჩატარების გარეშე ლიცენზია მიანიჭოს თავისუფალი ფართობის მომიჯნავე ფართობზე ანალოგიური ლიცენზიის მფლობელს (ნავთობისა და გაზის შესახებ კანონის პრეოქტის მეათე მუხლის პირველი პუნქტი). ამასთან, თავისუფალი ფართობის მომიჯნავე ფართობების ლიცენზიის მფლობელების ინტერესების უზრუნველსაყოფად, მათ უნდა ეცნობოთ ტენდერის/აუქციონის ჩატარების გარეშე ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილების შესახებ და განესაზღვროთ გონივრული ვადა დაინტერესების შემთხვევაში განაცხადის წარმოსადგენად (ნავთობისა და გაზის შესახებ კანონის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 10.3². | ბ) ფართობზე დაგეგმილი კონკრეტული ნავთობისა და გაზის ოპერაციის განხორციელება შეუძლებელია ინვესტორისათვის თავისუფალი წიაღის შესაბამისი ნაწილით სარგებლობის უფლების გადაცემის გარეშე, და/ან<br>გ) თავისუფალი წიაღის შესაბამისი ნაწილით სარგებლობის უფლების ინვესტორისთვის გადაცემა აუცილებელია სხვა საფუძვლიანი გეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე.<br><br>3². ნავთობისა და გაზის შემცველი თავისუფალი წიაღით სარგებლობის უფლებების ამ მუხლის 31 პუნქტით მინიჭების შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს ყველა იმ ინვესტორს, რომლის ფართობი უშუალოდ ესაზღვრება აღნიშნულ თავისუფალ წიაღს, რათა დაინტერესების შემთხვევაში მათ ქონდეთ გონივრული ვადა შესაბამისი განაცხადების წარმოსადგენად. | | პროექტის მეათე მუხლის 32 პუნქტი).<br><br>კანონის პროექტის 32 პუნქტის ჩანაწერი არ მოდის დირექტივის ტექსტთან წინააღმდეგობაში და მხოლოდ აზუსტებს დირექტივის ზოგად მითითებას „გეოლოგიური და მოპოვების ვარაუდებთან დაკავშირებით“. გარდა ამისა, ის დამატებითი მექანიზმია, იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ცვლილებებით გათვალისწინებული გამონაკლისის შემოღებასთან დაკავშირებული რისკები, რადგან უფრო დეტალურად განსაზღვრავს იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაიშვება გამონაკლისი. |
| მეერვე მუხლი | მუხლი 8<br>1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას მათთვის ცნობილი ნებისმიერი ზოგადი | | | | ას | აღნიშნული მუხლი დამატებით უფლებამოსილებას ანიჭებს წევრ სახელმწიფოებს და არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სირთულის შესახებ, რომელიც დე იურე ან დე ფაქტო წარმოეშობათ სუბიექტებს მესამე ქვეყნებში ნახშირწყალბადების მოძიების, კვლევისა და წარმოების აქტივობების ხელმისაწვდომობისას ან განხორციელებისას. წევრი სახელმწიფოები და კომისია უზრუნველყოფენ კომერციული კონფიდენციალობის დაცვას.<br>3.როდესაც კომისია მე-2 პუნქტში მითითებული ანგარიშების ან სხვა ინფორმაციის საფუძველზე აღმოაჩენს, რომ მესამე ქვეყანა არ ავრცელებს თანაბარ მოპყრობას ევროპული | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გაერთიანების სუბიექტებზე 1-ელ პუნქტში მითითებულ აქტივობებზე წვდომის ან მათი განხორციელების კუთხით, იმასთან შედარებით, როგორც აღნიშნულს ავრცელებს ევროპული გაერთიანება აღნიშნული მესამე ქვეყნის მიმართ, კომისიას შეუძლია მოლაპარაკებების შესაბამისი მანდატის მისანიჭებლად წინადადებები წარუდგინოს გაერთიანებას, რათა შეძლოს, მიიღოს შედარებით კონკურენტული შესაძლებლობები გაერთიანების სუბიექტებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საბჭო კვალიფიციური უმრავლესობით. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.მე-3 პუნქტში აღწერილი გარემოებების არსებობისას, კომისიას შეუძლია ნებისმიერ დროს დააყენოს ინიციატივა, რომ საბჭომ უფლებამოსილება მიანიჭოს ერთ ან მეტ წევრ სახელმწიფოს, რათა მათ უარი უთხრან ლიცენზიაზე იმ სუბიექტს, რომელიც ეფექტურად კონტროლდება შესაბამისი მესამე ქვეყნის და/ან ამ მესამე ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან. კომისიას შეუძლია ასეთი ინიციატივის დაყენება საკუთარი ინიციატივით ან წევრი სახელმწიფოს მოთხოვნით. საბჭო გადაწყვეტილებას მიიღებს დაყოვნების გარეშე კვალიფიციური უმრავლესობით. | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 5.ამ მუხლის შესაბამისად მიღებული ზომებმა ზიანი არ უნდა მიაყენოს გაერთიანების ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, რომელიც არეგულირებს ნახშირწყალბადების მოძიების, გამოკვლევისა და წარმოების საქმიანობის განხორციელებაზე ხელმისაწვდომობას. | | | | | |
| მეცხრე მუხლი | ———— | — | —— | ———— | ———— | ———— |
| მეათე მუხლი | მუხლი 10<br>წევრი სახელმწიფოები არაუგვიანეს 1995 წლის 1 მაისისა აცნობებენ კომისიას კომპეტენტური | | | | ას | აღნიშნული მუხლი დამატებით უფლებამოსილებას ანიჭებს წევრ სახელმწიფოებს და არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ორგანოების შესახებ. წევრი სახელმწიფოები დაუყოვნებლივ აცნობებენ კომისიას ყოველგვარი შემდგომი ცვლილების თაობაზე. კომისია გამოაქვეყნებს კომპეტენტური ორგანოების ჩამონათვალს და მათში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას ევროპული გაერთიანების ოფიციალურ ჟურნალში. | | | | | |
| მეთერთმეტე მუხლი | *ეს დირექტივა ვრცელდება მე-14 მუხლში მითითებული თარიღიდან გაცემულ უფლებამოსილებებზე.* | | | | ას | აღნიშნული მუხლი დამატებით უფლებამოსილებას ანიჭებს წევრ სახელმწიფოებს და არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი. |
| მეთორმეტე მუხლი | მუხლი 12<br>90/531/EEC დირექტივის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი პუნქტი:<br>5. რაც შეეხება გეოგრაფიული არეალების | | | | ას | ამ მუხლით ცვლილებები შედის, სხვა დირექტივაში (90/531/EEC) და შესაბამისად ტრანსპოზიცია არასავალდებულოა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ექსპლუატაციას ნავთობის ან გაზის მოძიების ან მოპოვების მიზნით, გამოიყენება 1-4 პუნქტები იმ თარიღიდან, როდესაც წევრი სახელმწიფო შესაბამისობაში მოვა ევროპარლამენტისა და საბჭოს 30 მაისის N94/22/EC დირექტივის დებულებებთან ნახშირწყალბადების მოძიების, გამოკვლევისა და წარმოების ლიცენზიების გაცემისა და გამოყენების პირობების შესახებ (*):<br>(ა) 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული პირობები დაკმაყოფილებულად ჩაითვლება ამ თარიღიდან მე-3 პუნქტისთვის ზიანის მიყენების გარეშე;<br>(ბ) ამ თარიღიდან, მე-4 პუნქტში მითითებულ | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | წევრ სახელმწიფოს მოეთხოვება მხოლოდ მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებულ პირობებთან შესაბამისობის შესახებ დებულებების გაცნობა. | | | | | |
| მეცამეტე | მე-3 და მე-5 მუხლების დებულებები არ ვრცელდება დანიის მიერ 2012 წლის 31 დეკემბრამდე გაცემულ ახალ ავტორიზაციაზე იმ ტერიტორიებზე, რომლებიც დათმობილია 2012 წლის 8 ივლისს 1962 წლის 8 ივლისს გაცემული ავტორიზაციის ვადის ამოწურვის შემდეგ. ახალი ნებართვები გაიცემა. ობიექტური და არადისკრიმინაციული პრინციპების საფუძველზე. შესაბამისად, ეს მუხლი არ უნდა შექმნას რაიმე პრეცედენტი წევრი სახელმწიფოებისთვის | | | | ას | აღნიშნული მუხლი დამატებით უფლებამოსილებას ანიჭებს წევრ სახელმწიფოებს და არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი. |
| მეთოთხმეტე მუხლი | მუხლი 14<br>წევრმა სახელმწიფოებმა 1995 წლის 1 ივლისამდე უნდა მიიღონ ამ დირექტივის შესასრულებლად აუცილებელი კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები. ისინი | | | | ას | აღნიშნული მუხლი დამატებით უფლებამოსილებას ანიჭებს წევრ სახელმწიფოებს და არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაუყოვნებლივ აცნობებენ კომისიას ამის შესახებ.<br>წევრი სახელმწიფოების მიერ აღნიშნული ზომების მიღების შემდეგ, ისინი უნდა შეიცავდეს მითითებას ამ დირექტივაზე ან მათ უნდა ახლდეს ასეთი მითითება მათი ოფიციალური გამოქვეყნების დროს. ასეთი მითითების გაკეთების მეთოდებს განსაზღვრავენ წევრი სახელმწიფოები. | | | | | |
| მეთხმუთმეტე მუხლი | მუხლი 15<br>ეს დირექტივა ძალაში შედის ევროპული გაერთიანების ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან. | | | | ას | აღნიშნული მუხლი წარმოადგენს დასკვნით დებულებას<br>და არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი. |
| მეთექვსმეტე მუხლი | მუხლი 16<br>ეს დირექტივა მიემართება წევრ სახელმწიფოებს. | | | | ას | აღნიშნული მუხლი აზუსტებს დირექტივის ადრესატებს და მისი ტრანსპოზიცია არარელებანტურია |